

საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების დანართი N8

ოქსფორდის უნივერსიტეტის სტანდარტი იურიდიული წყაროების ციტირებისთვის (OSCOLA) სწრაფი მინიშნებების სახელმძღვანელო

პირველადი წყაროები

არ გამოიყენოთ წერტილი აბრევიატურებში. დააშორეთ ციტატები წერტილ-მძიმითი.

საქმეები

მიუთითეთ მხარეთა სახელები, ნეიტრალური ციტირება, სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული. ნეიტრალური ციტირების არარსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული, ხოლო შემდეგ ფრჩხილებში სასამართლოს სახელწოდება. როდესაც საქმე არ არის გამოქვეყნებული სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებულში, დიდი ბრიტანეთის სასამართლოების გადაწყვეტილებების შემთხვევაში მიუთითეთ „ER“ ან „WLR“, ან სპეციალური ანგარიში.

მინიშნებისას პარაგრაფის ნომერი მიუთითეთ ციტატის ბოლოს კვდრატულ ფრჩხილებში. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას არ აქვს პარაგრაფის ნომრები, სასამართლოს სახელწოდების შემდეგ მიუთითეთ შესაბამისი გვერდები.

დებულებები და ნორმატიული ინსტრუმენტები

უზენაესობის აქტი 1558

ადამიანის უფლებათა აქტი 1998, 15 (1) (ბ)

ბრძანება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ჯარიმის შესახებ (მინიმალური ასაკის ცვლილება) 2004, SI 2004/3166

ევროკავშირის კანონმდებლობა და საქმეები

ევროკავშირის ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსია [2008] OJ C115 / 13

საბჭოს რეგულაცია (EC) 139/2004 საწარმოებს შორის კონცენტრაციის კონტროლის შესახებ (EC შერწყმის რეგულაცია) [2004] OJ L24 / 1, მუხლი 5

საქმე C-176/03 კომისია საბჭოს წინააღმდეგ [2005] ECR I-7879, პარაგრაფები 47-48

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ომოჯული დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (2009) 51 EHRR 10

ოსმანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ECHR 1998–VIII 3124

ბალოგი უნგრეთის წინააღმდეგ №47940/99 (ECHR, 2004 წლის 20 ივლისი)

მეორადი წყაროები

წიგნები

მიუთითეთ ავტორის სახელი იმავე ფორმით, როგორც ეს პუბლიკაციაშია მოცემული, გარდა ბიბლიოგრაფიის ნაწილისა, სადაც უნდა მიუთითოთ მხოლოდ გვარი, რომელსაც მოყვება სახელის ინიციალი (ან ინიციალები). მიუთითეთ შესაბამისი ინფორმაცია გამოცემაზე, მთარგმნელებზე და სხვ. გამომცემლობის მითითებამდე, ხოლო გვერდის ნომერი ციტირების ბოლოს ფრჩხილების დახურვის შემდეგ.

ტომას ჰობსი, ლევიათანი (პირველად გამოქვეყნდა 1651 წელს, პინგვინი 1985) 268

გარეტ ჯონსი, გოფი და ჯონსი: რესტიტუციის სამართალი (1-ლი დანართი, მე-7 გამოცემა, სვიტი და მაქსველი 2009)

კ. ცვაიგერტი და კ. კოტცი, შესავალი შედარებით სამართალში (ტონი ვეირის თარგმანი, მე-3 გამოცემა, OUP 1998)

წვლილი რედაქტირებულ წიგნებში

ფრენსის როუზი, "სახეობათა ევოლუცია" წიგნში ენდრიუ ბეროუზი და ალან როდჯერი (რედ), სამართლის კარტოგრაფირება: პიტერ ბირკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ესეები (OUP 2006)

ენციკლოპედია

ჰალსბერის კანონები (მე-5 გამოცემა, 2010) ტომი 57, პარაგრაფი 53

ჟურნალის სტატიები

პოლ კრეიგი, თეორია, „წმინდა თეორია“ და ღირებულებები საჯარო სამართალში [4] PL 440

მინიშნებისას დასვით მძიმე სტატიის პირველ გვერდსა და იმ გვერდს შორის, რომლის მითითებაც გსურთ.

ჯ.ა.გ. გრიფიტი, "საერთო კანონი და პოლიტიკური კონსტიტუცია" (2001) 117 LQR 42, 64

ონლაინ ჟურნალები

გრეჰემ გრინლეფი, "იურიდიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გლობალური განვითარება" (2010) 1 (1) EJLT <<http://ejlt.org/article/view/17>> ხელმისაწვდომი 2010 წლის 27 ივლისის მდგომარეობით

ნორმატიული აქტები და სამართლის კომისიების ანგარიშები

საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, მსოფლიო სიღარიბის აღმოფხვრა: ჩვენი საერთო მომავლის შექმნა (თეთრი წიგნი, Cm 7656, 2009) თავი 5

სამართლის კომისია, ქრთამის რეფორმირება (სამართლის კომისია No 313, 2008) პარაგრაფები 3.12-3.17

საიტები და ბლოგები

სარა კოული, „ვირტუალური მეგობარი სამსახურიდან ათავისფულებს დასაქმებულს“ (შიშველი კანონი, 2009 წლის 1 მაისი) <www.nakedlaw.com/2009/05/index.html> ხელმისაწვდომი 2009 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით

გაზეთის სტატიები

ჯეინ კროფტი, "უზენაესი სასამართლოს გაფრთხილება ხარისხზე" Financial Times (ლონდონი, 2010 წლის 1 ივლისი) 3

ოქსფორდის უნივერსიტეტის სტანდარტი იურიდიული წყაროების ციტირებისთვის (OSCOLA) 2006წ.

საერთაშორისო სამართლის წყაროების ციტირების სექცია

www.law.ox.ac.uk/oscola

ნაწყვეტი OSCOLA-დან, 2006წ.

| | |
|---|-----------|
| ნაწილი IV საერთაშორისო სამართლის წყაროების ციტირება..... | 25 |
| ა) ხელშეკრულებები და სხვა..... | 25 |
| 1. საერთაშორისო ხელშეკრულებები | 25 |
| 2. რეგიონალური ხელშეკრულებები..... | 27 |
| ბ) საერთაშორისო სამართლებრივი საქმეები და გადაწყვეტილებები | 28 |
| 1. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პუბლიკაციები..... | 28 |
| 2. საერთაშორისო გადაწყვეტილებების სხვა წყაროები..... | 29 |
| გ) არასამთავრობო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები | 32 |
| 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი..... | 32 |
| 2. რეგიონალური ორგანოების დოკუმენტები | 36 |
| 3. საერთაშორისო ყოველწლიური გამოცემა..... | 36 |
| 4. ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კურსების კრებული..... | 37 |
| 5. საერთაშორისო სამართლის ასოციაცია..... | 37 |
| 6. საერთაშორისო სამართლის კრებულები..... | 37 |

ნაწილი IV საერთაშორისო სამართლის წყაროების ციტირება

ა) ხელშეკრულებები და სხვა

საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოება გვთავაზობს საერთაშორისო სამართლის წყაროების სასარგებლო გზამკვლევს (www.eisil.org) და ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოვახდინოთ საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა ტიპის წყაროების ციტირება. ზოგადი პრინციპების ნაწილ III ბ-ში მოცემული "სხვა წყაროები" მოიცავს იმ წყაროების ციტირების ინსტრუქციას, რომლებიც არ არის განხილული ამ სექციაში.

1. საერთაშორისო ხელშეკრულებები

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები უერთდებიან ხელშეკრულებას (რაც მრავალმხრივი ხელშეკრულებების დიდ ნაწილში ხდება), მიუთითეთ თარიღი, როდესაც ხელშეკრულებს გაიხსნა ხელმოსაწერად. წინააღმდეგ შემთხვევაში მიუთითეთ მისი ხელმოწერის ან მიღების თარიღი. ამის შემდეგ, თუ შესაძლებელია, მიუთითეთ მისი ძალაში შესვლის თარიღი. იმ შემთხვევაში თუ მოცემულია როგორც ხელშეკრულების მიღების, ასევე მისი ხელმოსაწერად გახსნის თარიღი, მიუთითეთ ორივე ამ თანმიმდევრობით. მრავალმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში არა არის აუცილებელი მასში მონაწილე მხარეების მითითება, თუმცა ორმხრივი ხელშეკრულების დროს მხარეების სახელწოდებები უნდა მიეთითოს ხელშეკრულების სახელწოდების შედეგ ფრჩხილებში და მხარეების სახელწოდებებს შორის ტირეს გამოყენებით.

სადაც შესაძლებელია მიუთითეთ ხელშეკრულებების სერიები შემდეგი უპირატესობის რიგის დაცვით:

- პირველადი საერთაშორისო ხელშეკრულების სერია, მაგალითად, UNTS (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულების სერია), CTS (კონსოლიდირებული ხელშეკრულების სერია) ან LNTS (ერთა ლიგის ხელშეკრულების სერია);
- ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოს ოფიციალური ხელშეკრულების სერია, მაგალითად, UKTS (დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების სერია); ATS (ავსტრალიის ხელშეკრულების სერია);
- სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების სერიები (მაგ. ბრიტანული და უცხოური სახელმწიფოს დოკუმენტები).

იმ შემთხვევაში თუ მისაღებია, არაფორმალური/შემოკლებული სახელწოდება შეიძლება მიეთითოს ფრჩხილებში ზუსტ მინიშნებამდე და გამოყენებულ იქნას შემდგომი მითითებისას. შეიტანეთ ეს აბრევიატურები თქვენი აბრევიატურების სიაში. სტანდარტული შემოკლებები შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

ხელშეკრულების მუხლზე მინიშნებისას მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ნომერი და არა მუხლის სათაური (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შეგიძლიათ ტექსტში გამოიყენოთ „მუხლი“ ან მისი აბრევიატურა, ხოლო სქოლიოში აბრევიატურა.

ხელშეკრულებები ციტირება უნდა მოხდეს დასკვნითი აქტიდან (იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი ხელშეკრულების ტექსტამდე ქვეყნდება). ამის მაგალითია კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, სადაც აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნება მოხდა შემდეგნაირად: დასკვნით აქტი - 189 UNTS 137, ხოლო ხელშეკრულების ტექსტი მოცემული იყო 189 UNTS 150. ასეთ შემთხვევაში ტექსტის სწორი ციტირება იქნება 189 UNTS 137. (არ არის აუცილებელი ციტირებისას სიტყვა "დასკვნითი აქტი" შევიტანოთ ხელშეკრულების სათაურში).

1960-იანი წლების შემდეგ დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ სერიებში, წყაროდ მიეთითება საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM). 2000 წლის იანვრამდე საერთაშორისო სამართლებრივი მასალების ტომეული აღნიშნული იყო რომაული ციფრებით. თუმცა საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) საკუთარი წყაროს ციტირებისას მიუთითებდა არაბულ ციფრებს. შესაბამისად, მითითებისას გამოიყენეთ არაბული ციფრები. ციტირებისას მისანიშნებლად გამოიყენეთ ტექსტის დასაწყისი გვერდი და არა შესავალი კომენტარი ან შენიშვნა.

(ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს) 999 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია (UNTS) 171 (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR))

კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (მიღებულია 1951 წლის 28 ივლისს, ძალაში შევიდა 1954 წლის 22 აპრილს) 189 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია (UNTS) 137 (ლტოლვილთა კონვენცია) მუხლი 33

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 217-ე რეზოლუციით A(III) (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR)) მუხლი 5

ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (მიღებულია 1967 წლის 31 იანვარს, ძალაში შევიდა 1967 წლის 4 ოქტომბერს) 606 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია (UNTS) 267 (ოქმი) მუხლი 2

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (მიღებულია 1999 წლის 9 დეკემბერს, ხელმოსაწერად გაიხსნა 2000 წლის 10 იანვრისთვის) (2000) 39 საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) 270

(ბ) ერთა ლიგის ხელშეკრულებებისა და კონსოლიდირებული ხელშეკრულების სერია (LNTS, CTS)

შენიშვნა: ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი არ არის ხელისწავდომი, ასე რომ მიუთითეთ მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის ან მიღების თარიღი.

კონვენცია მონობის შესახებ (მიღებულია 1926 წლის 25 სექტემბერს, ძალაში შევიდა 1927 წლის 9 მარტს) 60 LNTS ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერია (LNTS) 253

დროებითი შეთანხმება გერმანიიდან მომავალი ლტოლვილების სტატუსის შესახებ (ხელი მოეწერა 1936 წლის 4 ივლისს) 3952 ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერია (LNTS) 77

მსგავსად ხდება ასევე კონსოლიდირებული ხელშეკრულებების სერიის (ერთა ლიგამდე დადებული ხელშეკრულებების) ციტირება. მიუთითეთ ხელშეკრულების სათაური ისე, როგორც მოცემულია კონსოლიდირებული ხელშეკრულებების სერიაში, OSCOLAS-ს (ოქსფორდის სტანდარტი იურიდიული წყაროების ციტირებისათვის) პუნქტუაციის მიხედვით.

კონვენცია დიდ ბრიტანეთს, იაპონიას, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ზღვის კატების შესანარჩუნებლად და დასაცავად საჭირო ზომების მოთხოვნის შესახებ (ხელი მოეწერა 1911 წლის 7 დეკემბერს) (1911) 214 კონსოლიდირებული ხელშეკრულების სერია (CTS) 80

(გ) ორმხრივი ხელშეკრულებები

დაკონკრეტების საჭიროების შემთხვევაში, ორმხრივი ხელშეკრულების მხარეები მიუთითეთ ფრჩხილებში ხელშეკრულების სახელწოდების შემდეგ.

შეთანხმება ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის მნიშვნელობით ლტოლვილთა დროებით ცხოვრების შესახებ (1951 წლის 28 ივლისის ქენევის კონვენცია და 1967 წლის 31 იანვრის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ) (საფრანგეთი-ავსტრია) (მიღებულია 1974 წლის 21 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 1975 წლის 24 ივლისს) 985 UNTS (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერია) 303

შეთანხმება რეაბილიტაციისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (ავსტრალია-ნაურუ) (1994 წლის 5 მაისი) ავსტრალიის ხელშეკრულებების სერია (ATS) 1994 15

(დ) GATT/WTO შეთანხმებები (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ/მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია)

GATT/WTO-ს ხელშეკრულებებს ეწოდება „შეთანხმებები“. მათი განხილვა და მიღება ხდება სესიების დროს, რომლებსაც „რაუნდები“ ეწოდება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები ასევე იღებენ შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტებს, როგორებიცაა განმარტებითი შენიშვნები, გადაწყვეტილებები, დეკლარაციები, ურთიერთგაგების მემორანდუმები და ცვლილებები. შეთანხმებები და დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტები ხშირად მოიხსენიება ერთობლივად, როგორც „სამართლებრივი

ინსტრუმენტები“ ან „სამართლებრივი ტექსტები“. მხოლოდ 1995 წლის 1 იანვრიდან წარმოებული დოკუმენტები მიეკუთვნება WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია), ხოლო მანამდე არსებული დოკუმენტები მიეკუთვნება GATT-ის (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ) დოკუმენტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ GATT-ის დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა შეგვიძლია ვიხილოთ WTO-ს (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) მონაცემთა ონლაინ ბაზაში, უპირატესად გამოსაყენებელ წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენს BISD (ძირითადი ინსტრუმენტები და რჩეული დოკუმენტები). BISD-ს ციტირება შეგიძლიათ იხილოთ ისეთ საძიებო სისტემებში, როგორებიცაა Lexis-Nexis და Westlaw. 1995 წლიდან ოფიციალური დოკუმენტების წყარო არის WTO-ს მონაცემთა ონლაინ ბაზა (<http://docsonline.wto.org>). 1995 წლის შემდეგ დათარიღებული დოკუმენტების მინიშნებისას ციტირება გააკეთეთ WTO-ს ონლაინ ბაზიდან.

GATT-ის დეკლარაციის შემდეგი მაგალითი მიუთითებს ხელშეკრულების მიღების თარიღზე. 26S მინიშნებს 26-ე დანართზე, ხოლო 205 - დეკლარაციის პირველ გვერდზე.

დეკლარაცია საგადამხდელი ბალანსის მიზნით მიღებული სავაჭრო ზომების შესახებ (1979 წლის 28 ნოემბერი) ძირითადი ინსტრუმენტები და რჩეული დოკუმენტები (BISD) 26S/205, 208

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ონლაინ მონაცემთა ბაზიდან ციტირების შემდეგი მაგალითში მოცემულია ხელმოწერის თარიღი. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვრიდან;

შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ (1994 წლის 15 აპრილი) LT/UR/A-1A/2 მუხლი 2 <<http://docsonline.wto.org>>

2. რეგიონალური ხელშეკრულებები

(ა) ევროპული ხელშეკრულებები

ხელშეკრულების პირველივე მინიშნებისას მიუთითეთ ხელშეკრულების როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური/შემოკლებული სახელწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). არაფორმალური/შემოკლებული სახელწოდება მიუთითეთ ფრჩხილებში ზუსტ მინიშნებამდე. შემცირებული დასახელებები, რომლებიც მოყვანილია ქვემოთ განხილულ მაგალითებში განკუთვნილია მხოლოდ სახელმძღვანელოდ. ავტორებს შეუძლიათ თავად შექმნან საკუთარი აბრევიატურები ევროპული ხელშეკრულებებისთვის.

ხელშეკრულების ოქმები მიუთითეთ სახელწოდებით იმ ხელშეკრულების სახელწოდების შემდეგ, რომლებსაც ისინი ეროვნიან. ევროპული ხელშეკრულებების ციტირებისას თარიღების მითითება ზოგადად არ ხდება იქედან გამომდინარე, რომ შესაძლოა განხორციელებული იყოს რამდენიმე მომდევნო ცვლილება. მიუთითეთ წელი თუ ის მინიშნებულია ხელშეკრულების სტანდარტულ სახელწოდებაში ან თუ ეს დააზუსტებს მინიშნებას.

ევროკომისიის (EC) ხელშეკრულება (რომის ხელშეკრულება მასში შესული ცვლილებებით) მუხლი 3 ბ

ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (მაასტრიხტის ხელშეკრულება) მუხლი G5

მიერთების აქტი 1985წ. (ესპანეთი და პორტუგალია) ოქმი 34

ევროკომისიის (EC) ხელშეკრულების ოქმი მართლმსაჯულების სასამართლოს დებულების შესახებ

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მასში შესული ცვლილებებით) (ECHR) მუხლი 3

(ბ) სხვა რეგიონალური ხელშეკრულებები

მიყვით გაეროს ხელშეკრულებების ნიმუშს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ზოგიერთ რეგიონს ან ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სპეციფიური ხელშეკრულებების სერია, მაგ., ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის ხელშეკრულებათა სერია (OAS Treaty Series). თუმცა, თუ ხელშეკრულება მოხსენიებულია UNTS-ში (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების სერიაში), LNTS-ში (ერთა ლიგის ხელშეკრულებების სერიაში) ან ILM-ში (საერთაშორისო სამართლებრივ მასალებში), გამოიყენეთ ეს წყარო.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის დამატებითი ოქმი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სფეროში (სან სალვადორის ოქმი) (ძალაში შევიდა 1999 წლის 16 ნოემბერს) ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის ხელშეკრულებათა სერია №69 (1988) გამოქვეყნებული ინტერამერიკულ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად დოკუმენტებში OEA/Ser LV/ II.82 დოკუმენტი 6, 67 (1992)

ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია, OAS Res XXX მიღებული ამერიკული სახელმწიფოების მეცხრე საერთაშორისო კონფერენციაზე (1948) გამოქვეყნებული ინტერამერიკულ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად დოკუმენტებში OEA/ Ser L V/ II.82 დოკუმენტი 6, 17 (1992)

ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია (მიღებულია 1981 წლის 27 ივნისს, ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს) (1982) 21 საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) 58 (აფრიკული ქარტია)

ბ) საერთაშორისო სამართლებრივი საქმეები და გადაწყვეტილებები

1. საერთაშორისოსასამართლოს პუბლიკაციები

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ გაეცნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტაციის კვლევის სახელმძღვანელოს, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: <http://www.un.org/Depts/dhl/resguide/specil.htm> და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიბლიოგრაფიული საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე <http://unbisnet.un.org>.

საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლო (PCIJ) (1922-45) წარმოადგენდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) წინამორბედს. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლო (PCIJ)

გადაწყვეტილებები და მოსაზრებები ქვეყნდება სასამართლოს ოფიციალურ ანგარიშებში. ყოველწლიური გამოცემები, გადაწყვეტილებები, მოსაზრებები და დაკავშირებული დოკუმენტები (სერია A-F) საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოდან (PCIJ) ხელმისაწვდომია აქ: <http://www.icj-cij.org/icjwww/idecisions/icpij>.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები გაერთიანებული სასამართლო გადაწყვეტილებების, საკონსულტაციო მოსაზრებების და ბრძანებების სერიაში. სადავო საქმეები და საკონსულტაციო მოსაზრებები ასევე ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) ვებგვერდზე <http://www.icj-cij.org/icjwww/idecisions.htm>. საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (როგორცაა წერილობითი განცხადებები და ზეპირი არგუმენტები) ქვეყნდება გადაწყვეტილების შემდეგ მხარეთა გამოსვლების, ზეპირი არგუმენტების, დოკუმენტების სერიაში გადაწყვეტილების შემდეგ (ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე - სასამართლოში წარდგენის ენის გათვალისწინებით). სასამართლოს ძირითადი დოკუმენტები, პრესრელიზები, ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები, მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებული და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები ხელმისაწვდომია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) ვებგვერდზე (<http://www.icj-cij.org>).

მიუთითეთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, თუ ეს შესაძლებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიუთითეთ ვებგვერდზე. მიუთითეთ თარიღი, როდესაც ანგარიში ვებგვერდზე ხელმისაწვდომი იყო. მიუთითეთ საქმის სახელწოდებები ისე, როგორც ეს მინიშნებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშებში. ზოგიერთ შემთხვევაში, სიტყვა "საქმე" გამოჩნდება სათაურში, თუმცა ყველა შემთხვევაში ის არ არის მოხსენიებული. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) და მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს (PICJ) საქმეების მაგალითებია:

კორფუს არხის საქმე (გაერთიანებული სამეფო ალბანეთის წინააღმდეგ) (არსებითი განხილვა) [1949] მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 4

მიწის, კუნძულისა და საზღვაო სასაზღვრო საქმე (ელსალვადორი/ჰონდურასი, ნიკარაგუა) (განაცხადი ინტერვენციისთვის) [1990] მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები 92

კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგები (საკონსულტაციო მოსაზრება) 2004 <<http://www.icj-cij.org/icjwww/idocket/imwp/imwpframe.htm>> ხელმისაწვდომი 2005 წლის 21 ივლისის მდგომარეობით [139]-[142]

1955 წლის 27 ივლისის საჰაერო ინციდენტის საქმე (ისრაელი ბულგარეთის წინააღმდეგ) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო 530

ხაჟუვის ქარხნის საქმე (გერმანია პოლონეთის წინააღმდეგ) (არსებითი განხილვა) მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშების სერია A №

ზემო სავუას თავისუფალი ზონების და ჟექსის რაიონის საქმე (შვეიცარია საფრანგეთის წინააღმდეგ) მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშების სერია A/B №46

საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის საქმე (გერმანია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ) (დროებითი ღონისძიებების განსაზღვრის მოთხოვნა: ბრძანება) ზოგადი სია №104 [1999] მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (ICJ)

გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ კონვენციის გამოყენება (ბოსნია და ჰერცეგოვინა სერბეთი და მონტენეგროს წინააღმდეგ) (განხილვის პროცესში) მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) პრესრელიზი 2004/37 <<http://www.icj-cij.org/icjwww/idocket.htm>> ხელმისაწვდომი 2005 წლის 27 ივლისის მდგომარეობით.

2. საერთაშორისო გადაწყვეტილებების სხვა წყაროები

საერთაშორისო სამართლის ანგარიშები (ILR) წარმოადგენს საერთაშორისო სასამართლოს, ტრიბუნალის, საარბიტრაჟო და მუნიციპალური გადაწყვეტილების წყაროს. ის 1919 წლიდან მოყოლებული უწყვეტად ქვეყნდებოდა, თუმცა სხვადასხვა სათაურებით:

- ტომები 1-6 (1919-32) ქვეყნდებოდა, როგორც საჯარო საერთაშორისო სამართლის საქმეების ყოველწლიური კრებული;
- ტომები 7-16 (1933-49) ქვეყნდებოდა, როგორც საჯარო საერთაშორისო სამართლის საქმეებისა და ანგარიშების ყოველწლიური კრებული;
- მე-17-ე ტომიდან (1950-) ქვეყნდებოდა, როგორც საერთაშორისო სამართლის ანგარიშები.

საერთაშორისო საქმეების ანგარიშების სხვა ზოგადი წყაროები მოიცავს საერთაშორისო სამართლებრივ მასალებს (ILM, 1962-), საერთაშორისო და შედარებითი სამართლის კვარტალურ გამოცემას (ICLQ, 1952-), ანგარიშებს საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე (RIAA, or Recueil des Sentences Arbitrales) და მრავალ სხვა ანგარიშსა და სახელმძღვანელოს. ზემოხსენებული წყაროებიდან ციტირების მაგალითებია:

ლოულერის ინციდენტი (1860) 1 მაკნერის საერთაშორისო სამართლის მოსაზრებები 78

ტინოკოს არბიტრაჟი (დიდი ბრიტანეთი კოსტა რიკას წინააღმდეგ) (1923) 1 ანგარიშები საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე (RIAA) 369

კონტინენტალური შელფის დელიმიტაცია (დიდი ბრიტანეთი საფრანგეთის წინააღმდეგ) (საარბიტრაჟო ტრიბუნალი) (1979) 54 ILR 6

ცისარტყელის მებრძოლი (ახალი ზელანდია საფრანგეთის წინააღმდეგ) (საარბიტრაჟო ტრიბუნალი) (1990) 82 საერთაშორისო სამართლის ანგარიშები (ILR) 499

სტაინერი და გროსი პოლონეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ (1927–28) 4 საჯარო საერთაშორისო სამართლის ყოველწლიური კრებული 291

დოლანი (1955) 4 საერთაშორისო და შედარებითი სამართლის კვარტალური გამოცემა (ICLQ) 629

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი *მერვინ ფელდმენი მექსიკის წინააღმდეგ* (2003) 42 საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) 625

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო *ბარიოს ალტოსის საქმე ჩუმბიპუმბა აგუირე და სხვები პერუს წინააღმდეგ* (2002) 41 საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) 91

(ა) ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალები

აღნიშნული ტრიბუნალების გადაწყვეტილებებ სხვადასხვა ანგარიშების სერიებშია გამოქვეყნებული. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა ანგარიშებსა და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ბრძანებების, დასკვნებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშებში ერთიანდება მოცემულ წელს გამოქვეყნებული ყველა საჯარო საბრალდებულ ოქმი, დასკვნა და გადაწყვეტილება (ინგლისურ და ფრანგულ ენაზე). მიუთითეთ ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისა (ICTY) და რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის (ICTR) გადაწყვეტილება შემდეგი სახით: საქმის დასახელება (გადაწყვეტილების ტიპი) ICTY-წელი #- საქმე# (თარიღი). ალტერნატიულ შემთხვევაში, შეიძლიათ ციტირება საერთაშორისო სამართლის მასალებიდან და საერთაშორისო ადამიანის უფლებების ანგარიშებიდან.

ტადიჩის საქმე (გადაწყვეტილება) ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ICTY-94-1 (2000 წლის 26 იანვარი)

პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ (იურისდიქცია) (1996) 3 საერთაშორისო ადამიანის უფლებების ანგარიშები 578

პროკურორი აკაე წინააღმდეგ (გადაწყვეტილება) რუანდას საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი ICTR-96-4-T, T თავი I (1998 წლის 2 სექტემბერი)

პროკურორი ტადიჩის წინააღმდეგ (გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივარზე) (2000) 39 საერთაშორისო სამართლის მასალები (ILM) 635

ბ) ნიურნბერგის ტრიბუნალი

ტრიბუნალის გადაწყვეტილებები გამოქვეყნდა ამერიკის საერთაშორისო სამართლის ჟურნალში.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება 1946 (1947) 41 საერთაშორისო სამართლის ამერიკული ჟურნალი (AJIL) 172

გ) საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი (ITLOS)

ტრიბუნალისთვის წარდგენილ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები და ბრძანებები გამოქვეყნებულია გადაწყვეტილებების, საკონსულტაციო დასკვნებისა და ბრძანებების ანგარიშების სერიაში, და ასევე ხელმისაწვდომია საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ITLOS) ვებგვერდზე (<http://www.itlos.org>) პროცესებისა და გადაწყვეტილებების განყოფილებაში. საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ITLOS) სხვა წყაროები, როგორებიცაა რეზოლუციები და შეთანხმებები შეგიძლიათ იხილოთ იმავე ვებგვერდზე დოკუმენტები/პუბლიკაციების განყოფილებაში.

/M/V 'Saiga' (No 2) (სენტ ვინსენტი და გრენადინები გვინეას წინააღმდეგ) (დროებითი ღონისძიებები, 1998 წლის 11 მარტის ბრძანება) საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ITLOS) ანგარიშები 1998, 24

/M/V 'Saiga' (No 2) (სენტ ვინსენტი და გრენადინები გვინეას წინააღმდეგ) (დროებითი ღონისძიებები, 1998 წლის 11 მარტის ბრძანება) საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ITLOS) ანგარიშები 1998, 24

საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ITLOS) პრესრელიზი, „ბელიზის განცხადება საფრანგეთის წინააღმდეგ დაპატიმრებული სათევზაო გემის განთავისუფლებასთან დაკავშირებით“ (2001 წლის 20 მარტი) საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ITLOS/Press 46

(დ) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO / GATT) გადაწყვეტილებები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) გადაწყვეტილებების ციტირების ორი გზა არსებობს. პირველი არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ონლაინ მონაცემთა ბაზა (<http://docsonline.wto.org>). მიუთითეთ სახელწოდება, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) კატალოგის ნომერი და პარაგრაფების ნომრები. სტატიის/თავის პირველ რელევანტურ სქოლიოში ასევე მიუთითეთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ონლაინ მონაცემთა ბაზის ვებგვერდის მისამართი.

ალტერნატიულ შემთხვევაში შეგიძლიათ ციტირება დავის მოგვარების ანგარიშებიდან (DSR) მოახდინოთ. აღნიშნული სერია მოიცავს პანელისა და სააპელაციო ორგანოების ანგარიშებს, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობასთან ერთად. დავის მოგვარების ანგარიშების (DSR) გამოქვეყნების დაყოვნებებიდან გამომდინარე მეცნიერების უმრავლესობა ონლაინ დოკუმენტებს ციტირებს. დავის მოგვარების ანგარიშების (DSR) მითითება ხდება იმავე წესით, როგორც სამართლის ანგარიშები. ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია გვერდების მითითებაზე, თუმცა რიგი მკითხველებისთვის, რომლებსაც დავის მოგვარების ანგარიშებზე (DSR) ხელი არ მიუწვდება, პარაგრაფის მინიშნება შესაძლოა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალურ შეთანხმებასთან (GATT) დაკავშირებული გადაწყვეტილებების ციტირებისას, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი ინსტრუმენტები და შერჩეული დოკუმენტები (BISD). ქვემოთ მოყვანილ მაგალითში, 3S ნიშნავს მე-3 დანართს და 81 წარმოადგენს გვერდზე მინიშნებას.

BISD შეგიძლიათ იხილოთ ისეთ საძიებპ სისტემებში, როგორებიცაა Butterworth's Lexis და Westlaw.

შვედეთის ანტიდამპინგური მოვალეობები (1955) ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების ძირითადი ინსტრუმენტები და შერჩეული დოკუმენტები (GATT BISD) 3S/81, 82

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), ინდოეთი: სააპელაციო ორგანოს ანგარიში საავტომობილო სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ (2002 წლის 19 მარტი), WT/DS146/AB/R და WT/DS175/AB/R [10] - [25]

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), ბრაზილია: საჰაერო ხომალდის ექსპორტის დაფინანსების პროგრამა - ბრაზილიის მიერ არბიტრაჟისთვის მიმართვა დავის გადაწყვეტის შესახებ შეთანხმების 22.6 მუხლისა და სუბსიდიებისა და საკომპენსაციოს ზომების შესახებ შეთანხმების 4.11 მუხლის მიხედვით - არბიტრების გადაწყვეტილება (2000 წლის 28 აგვისტო) WT/DS46/ARB

ამერიკის შეერთებული შტატები - ანტიდამპინგური ვალდებულება კორეიდან მომავალ ერთი მეგაბიტისა და მეტი მოცულობის მქონე დინამიკური ოპერატიული მეხსიერების ნახევარგამტარებთან მიმართებაში (WT/DS99) [1999] 2 DSR 519, 521

(ე) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) გამოსცემს შრომის საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოკუმენტებს, მათ შორის რეკომენდაციებს, კონფერენციის ანგარიშებს, მმართველი ორგანოს დოკუმენტებს, შეკრების თავისუფლების კომიტეტის ანგარიშებსა და დასკვნებს, კონვენციისა და რეკომენდაციების გამოყენების შესახებ ექსპერტთა კომიტეტის კომენტარებს და სხვას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაცია R020: შრომის ინსპექციის რეკომენდაციები (რეკომენდაცია დასაქმებულთა დამცავი კანონმდებლობისა და რეგულაციების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ინსპექციის სისტემის ორგანიზების ზოგადი პრინციპების შესახებ) (1923 წლის 29 ნოემბერის ჟენევის კონფერენციის მე-5 სესია)

კანადა (საქმე № 2145) (2001 წლის 3 ივლისი) შეკრების თავისუფლების კომიტეტის ანგარიში №327 (ტომი LXXXV 2002 სერია B №1);

შრომის საერთაშორისო კონფერენცია (88-ე სესია) რეზოლუცია II: რეზოლუცია აივ ინფექციის/შიდსისა და შრომის სამყაროს შესახებ (ჟენევა 2000 წლის 13 ივნისი)

(ვ) მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო

მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს (PCA) გადაწყვეტილებები ქვეყნდება სკოტის (რედ) *ჰააგის სასამართლოს ანგარიშებში* (1916, 1932). სხვა გადაწყვეტილებები ქვეყნდება მურის ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით საერთაშორისო არბიტრაჟების ისტორია და ნაკრებში (1898) 6 ტომი. ყოველ მათგანს აქვს ციტირების საკუთარი მეთოდი.

ჩრდილოეთ ატლანტიკის სანაპიროზე მეთევზეობის საქმე (დიდი ბრიტანეთი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ) (1910) სკოტის ჰააგის სასამართლოს ანგარიშები 141

(ზ) ირანი - ამერიკის შეერთებული შტატების სარჩელების ტრიბუნალი

სტარეტ ჰაუზინგ კორპორაცია ირანის წინააღმდეგ (1983) 4 Iran-USCTR 122

(თ) ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო (IACHR)

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს (IACHR) პუბლიკაციები შეგიძლიათ იხილოთ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს (IACHR) A-E სერიებში. გადაწყვეტილებები და დასკვნები მოყვანილია სერია C-ში. დოკუმენტების წყაროდ შეგიძლიათ გამოიყენოთ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს (IACHR) ვებგვერდი (<http://www.corteidh.or.cr>) ან მინესოტას უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკის ვებგვერდი (<http://www1.umn.edu/humanrts/iachr>).

დაურეგისტრირებელი მიგრანტების იურიდიული მდგომარეობა და უფლებები, საკონსულტაციო დასკვნა OC-18, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს სერია A №18 (2003 წლის 17 სექტემბერი)

ბლევის საქმე (რეპატრაციის შესახებ გადაწყვეტილების ინტერპრეტაცია (მუხლი 67-ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია) ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს სერია C №57 (1999 წლის 1 ოქტომბერი)

გ) არასამთავრობო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ორგანოების დოკუმენტების ციტირებისას მიუთითეთ დოკუმენტის უნიკალური ნომერი, რომლებიც განსაზღვრავს როგორც გამომცემ ორგანოს, ასევე დოკუმენტის ტიპს. არ არის აუცილებელი უშიშროების საბჭოს ოფიციალური ანგარიშების (UNSCOR) ან გენერალური ასამბლეის ოფიციალური ანგარიშების (GAOR) ციტირება. პირველი მითითების შემდეგ, შეგიძლიათ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ ნაცვლად აბრევიატურა „გაეროს“ გამოყენება; შესაძლებელია ასევე „გაეროს უშიშროების საბჭოსა“ და „გაეროს გენერალური ასამბლეის“ აბრევიატურების გამოყენება, ხოლო „რეზოლუციის“ ნაცვლად, მაგალითად, შემოკლება „რეზ“-ის გამოყენება. რაც შეეხება გაეროს ნაკლებად ცნობილ ან სპეციალიზებულ ორგანოებს, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია სახელწოდებები სრულად მითითება და არა აბრევიატურების გამოყენება. ციტირებისას არ მიუთითოთ რეზოლუციის სათაურები, თუ ეს კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ საჭიროებას არ წარმოადგენს. გაეროს დოკუმენტების მოძიებისა და ციტირებისთვის დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები ხელმისაწვდომია გაეროს დოკუმენტური რესურსების სახელმძღვანელოსა (www.un.org/Depts/dhl/resguide) და სტენფორდის

უნივერსიტეტის ჯონსონის ბიბლიოთეკის მთავრობის პუბლიკაციების სერიის გზამკვლევაში (www-sul.stanford.edu/depts/jonsson/int/un.html).

ზოგადად, გაეროს დოკუმენტის ციტირებისას დაიცავით შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორი, „სათაური“ თარიღი დოკუმენტის ნომერი. კურსივირებით (*italics*) გამოყავით გაეროს დოკუმენტის სახელწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოქვეყნდა წიგნის ფორმატში (ანუ მას აქვს ISBN), ამ შემთხვევაში გაეროს დოკუმენტის ნომერის მითითება არ არის აუცილებელი. მიუთითეთ სრული სახელწოდება პირველ ციტატაში და შემდეგ შემოკლებები. ზემოთ აღწერილი ციტირების მეთოდის მაგალითებია:

გაეროს გენერალური ასამბლეა (UNGA) რეზოლუცია 2621 (1970) გაეროს გენერალური ასამბლეის ოფიციალური ანგარიშები 25-ე სესია დანართი 16, 10

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო (UNSC) რეზოლუცია 770 (1992) გაეროს უშიშროების საბჭოს ოფიციალური ანგარიშები რეზოლუციები და გადაწყვეტილებები 24

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო (UNSC) რეზოლუცია 1373 (2001 წლის 28 სექტემბერი) გაეროს დოკუმენტი S/ RES/1373

(ა) გაეროს უშიშროების საბჭო (UNSC)

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო (UNSC) რეზოლუცია 1373 (2001 წლის 28 სექტემბერი) გაეროს დოკუმენტი S/RES/1373

პრეზიდენტის განცხადება 38 (2000) გაეროს დოკუმენტი S/PRST/2000/38

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს (UNSC) სტენოგრაფიული ანგარიში (2001 წლის 28 სექტემბერი) გაეროს დოკუმენტი S/PV/4385

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო (UNSC) უშიშროების საბჭომ, რომელიც ინფრომირებულ იქნა კონტრტერორისტული კომიტეტის თავმჯდომარის მიერ, ხაზი გაუსვა საჭიროებას ყველა სახელმწიფომ წარმოადგინოს ანგარიში ანტიტერორისტული ძალისხმევის შესახებ (2002 წლის 15 აპრილი) პრესამსახური SC / 7361

(ბ) გაეროს გენერალური ასამბლეა (UNGA)

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) რეზოლუცია 3314 (XXIX) (1974 წლის 14 დეკემბერი)

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) რეზოლუცია 51/210 (1996 წლის 17 დეკემბერი) გაეროს დოკუმენტი A/RES/51/210

დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ერებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) რეზოლუცია

1514 (XV) (1960 წლის 14 დეკემბერი) (მიღებულ იქნა 89 ხმით, წინააღმდეგი - 0, ხსმის მიცემისგან თავი შეიკავა - 9)

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) „სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობებსა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების სპეციალური კომიტეტის ანგარიში“, გაეროს გენერალური ასამბლეის ოფიციალური ანგარიშები (GAOR) 25- სესია მე-18 დანართი გაეროს დოკუმენტი A/8018 (1970)

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) „გაეროს გენერალური ასამბლეის 51/2010 რეზოლუციის თანახმად დაფუძნებული დროებითი სპეციალური კომიტეტის ანგარიში“ (1996 წლის 17 დეკემბერი) მე-6 სესია (2002) გაეროს დოკუმენტის დანართი №37 (A/57/37)

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საპროცედურო წესები, წესი 98 გაეროს დოკუმენტი A/520/Rev 15 (1984)

(გ) გაეროს მეექვსე კომიტეტი

გაეთიანებული ერების ორგანიზაციის მეექვსე კომიტეტის დოკუმენტის ციტირების სახელმძღვანელო პრინციპები შეგიძლიათ იხილოთ გაეროს დოკუმენტების კვლევის სახელმძღვანელოში (<http://www.un.org/Depts/dhl/resguide/specil.htm>).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე კომიტეტი (56-ე სესია) „საერთაშორისო ტერორიზმის აღმოსაფხვრელად მიმართული ღონისძიებების სამუშაო ჯგუფის ანგარიში“ (2001 წლის 29 ოქტომბერი) გაეროს დოკუმენტი A/C.6 /56/L.9

(დ) გაეროს გენერალური მდივანი

გენერალური მდივნის დოკუმენტების ციტირება ჩვეულებრივ ხდება გაეროს იმ ორგანოს მითითებით, რომელსაც მიემართება გაეროს გენერალური მდივნის მიერ გამოცემული დოკუმენტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) „გენერალური მდივნის ანგარიში 65/190“ (2001) გაეროს დოკუმენტი A/56/190

გენერალური მდივნის ანგარიში, „ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილი ქალების გაუპატიურებისა და მათზე ძალადობის დანაშაულები“ (1994) გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1994/5

(ე) გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR) რეზოლუცია 37 (2001) გაეროს დოკუმენტი E/CN.4/RES/2001/37

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR), 1999 წლის 23-24 სექტემბრის მეოთხე სპეციალური სესია „გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ანგარიში აღმოსავლეთ ტიმორში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ (1999 წლის 17 სექტემბერი) გაეროს დოკუმენტი E/CN.4/S-4/CRP

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR) "უკანონო დაკავების სამუშაო ჯგუფის ანგარიში" (1992 წლის 21 იანვარი) გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1992/20

(ვ) გაეროს სპეციალური მომხსენებლები ან წარმომადგენლები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR) (ქვეკომიტეტი), „სპეციალური მომხსენებლის კალიოპი კოუფას ანგარიში 2001/31“ (2001) გაეროს დოკუმენტი E/CN.4/Sub.2/2001/31

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR) „სამართლებრივი ნორმების შეკრება და ანალიზი, იძულებით გადაადგილებულ პირებზე გარეოს გენერალური მდივნის წარმომადგენლის ანგარიში“ (1995 წლის 5 დეკემბერი) გაეროს Doc E / CN.4 / 1996/52 / Add.2;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR), „წამებაზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“ (1986) გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1986/15

(ზ) გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ორგანოები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR) „ზოგადი კომენტარი №18“, დოკუმენტში "სამდივნოს შენიშვნა, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების ნაკრები“ (1994) გაეროს დოკუმენტი HRI/GEN/1/Rev.1

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისია (UNHCR) „კომენტარი ICCPR-ის განხორციელების თაობაზე ეგვიპტის მეორე პერიოდული დასკვნის შესახებ“ (1993 წლის 9 დეკემბერი) გაეროს დოკუმენტი CCPR/C/79/Add.23

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, „ზოგადი კომენტარი №19“ დოკუმენტში "სამდივნოს შენიშვნა, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ორგანოების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარებისა და ზოგადი რეკომენდაციების ნაკრები“ (1994 წლის 29 ივლისი) გაეროს დოკუმენტი HRI/GEN/1/Rev.1

ბარბატო ურუგვაის წინააღმდეგ (1982) 2 ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული რჩეული გადაწყვეტილებები 112

(თ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის აღმასრულებელი კომიტეტი (UNHCR EXCOM) დასკვნა №64 (XLI) "ლტოლვილი ქალები და საერთაშორისო დაცვა" (1990)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) „უმაღლესი კომისარის პროგრამის აღმასრულებელი კომიტეტის 45-ე სესიის ანგარიში (ჟენევა, 1994 წლის 3-7 ოქტომბერი)“ (1994 წლის 11 ოქტომბერი) გაეროს დოკუმენტი A/AC96/839

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) „ლტოლვილ ქალთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“ (ჟენევა, 1991)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) "გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გამოცდილება იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით" (საერთაშორისო უსაფრთხოების განყოფილება ჟენევა 1994)

(ი) დიპლომატიური კონფერენციები

"საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაფუძნების შესახებ მოსამზადებელი კომიტეტის ანგარიში" საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაფუძნების შესახებ უფლებამოსილი პირების გაეროს დიპლომატიური კონფერენცია (რომი 1998 წლის 15 ივნისი - 17 ივლისი) (1998 წლის 14 აპრილი) გაეროს დოკუმენტი A/CONF.183/2/Add.1

"საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაფუძნების შესახებ უფლებამოსილი პირების გაეროს დიპლომატიური კონფერენციის დასკვნითი აქტი“ (1998 წლის 17 ივლისი) გაეროს დოკუმენტი A/CONF.183/10

(კ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური გამოცემა (UNYB)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) "საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები" (1972) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური გამოცემა (UNYB) 649

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) "დროებითი სპეციალური კომიტეტის ანგარიში" (1979) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური გამოცემა (UNYB) 1146

(ლ) საერთაშორისო სამართლის კომისია (ILC)

ინფორმაცია საერთაშორისო სამართლის კომისიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.un.org/law/ilc/index.htm>. კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ ონლაინ კვლევა შეიძლება ჩატარდეს იხილოთ შემდეგ სისტემაში: UNBISnet. მეექვსე კომიტეტის დოკუმენტების ციტირების სახელმძღვანელო პრინციპები შეგიძლიათ იხილოთ გაეროს დოკუმენტების კვლევის სახელმძღვანელოში (<http://www.un.org/Depts/dhl/resguide/specil.htm>).

საერთაშორისო სამართლის კომისია (ILC), "42-ე სესიის მუშაობის შესახებ საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიში" (1990 წლის 1 მაისი -20 ივლისი) გაეროს დოკუმენტი A/45/10

(მ) ერთა ლიგის ოფიციალური ჟურნალი (LNO)

ალანდის კუნძულების საქმე (1920) ერთა ლიგის ოფიციალური ჟურნალის სპეციალური დანართი 3, 3

(ნ) გაეროს სხვა სააგენტოები

მსოფლიო სასურსათო პროგრამა, "ანგარიში ეკონომიკური და სოციალური საბჭოსთვის" (1996 წლის 23 სექტემბერი) WFP/EB.3/96/3

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (საგანგებო რეაგირების განყოფილება), „დახმარებასა და განვითარებას შორის ხიდების შენება“ (1996)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის აღმასრულებელი საბჭო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი, "ადმინისტრატორის ანგარიში" (1996 წლის 15 მარტი) DP/1996/18/Add.2

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF) "გადაუდებელი ოპერაციები" (1995 წლის 1 დეკემბერი) E/ICEF/1996/7

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) (აღმასრულებელი საბჭოს რეზოლუცია) "გადაუდებელი და ჰუმანიტარული ქმედება" (1995 წლის 27 იანვარი) EB95.R17

გაერთიანებულის ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) "ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის გაფართოება და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მხარდაჭერა" 1990/48 (1990 წლის 25 მაისი)

2. რეგიონალური ორგანოების დოკუმენტები

აფრიკის ერთობის ორგანიზაცია (მინისტრების საბჭო) „წინადადებები აფრიკის ერთობის ორგანიზაციის მიერ კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისკენ მიმართული მექანიზმის შესაქმნელად, გენერალური მდივნის ანგარიში“ (აფრიკის ერთობის ორგანიზაცია (OAU) ადის-აბეა 1992) CM/1710(L.VI)

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისია (CSCE) "ეუთო დეიტონის შეთანხმების შემდგომ ბოსნიაში" (1994 წლის 17 იანვარი) 17 ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (CSCE) კრებული 2

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, "კონფერენციის ანგარიში" (1996 წლის 4 ივლისი) CISCONF/1996/6

ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია, "ლტოლვილთა, დაბრუნებულთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა ამერიკულ ნახევარსფეროში", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა (UNGA) რეზოლუცია AG/Res 1214 (XXIII-O / 93) (ვაშინგტონი 1993 წლის 11 ივნისი)

3. საერთაშორისო ყოველწლიური გამოცემა

აღნიშნული წყაროს ციტირება ჟურნალების/ პერიოდული გამოცემების მსგავსად ხდება. თუ ყოველწლიური გამოცემა იყენებს რომაულ ციფრებს ტომების ნუმერაციისთვის, გამოიყენეთ რომაული ციფრები თქვენს ციტატაში. თუ დოკუმენტები დაბეჭდილია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ციტირებისას იხელმძღვანელებთ გამოყენებული ენით ისე, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები.

რ. ჯენინგსი, "მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს როლი" (1997) 68 საერთაშორისო სამართლის ბრიტანული ყოველწლიური გამოცემა 10

ლ.ს. გრინი, "კანადის როლი შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის განვითარებაში" (1980) XVIII საერთაშორისო სამართლის კანადური ყოველწლიური გამოცემა 91

"ევროპის საბჭო 1999 წელს: მისი მთავარი სამუშაო" (1999) XLVII ევროპული ყოველწლიური გამოცემა C of E 1

იგივე ციტატა ფრანგულ ენაზე:

'Le Conseil de L'Europe: Principales activités pour l'année 1999' (1999) XLVII Annuaire Européen (C de E) 1

4. ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კურსების კრებული

პირველი ციტირებისას მიუთითეთ ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის კურსების კრებულის (Recueil des Cours de l'Académie de Droit International) სახელწოდება სრულად, ხოლო შემდეგ გამოიყენეთ შემოკლებული სახელწოდება. მიუთითეთ ტომის წელი (რომელიც შესაძლოა გამოქვეყნების წელს არ ემთხვეოდეს). 1995 წლამდე ტომები დაყოფილი იყო ნაწილებად და აღნიშნული იყო რომაული ციფრებით. გამოტოვეთ რომაული ციფრებით ნაწილით აღნიშვნები და ნაცვლად მიუთითეთ წელი და ტომის მომერი. ციტატის ბოლო ნაწილს წარმოადგენს იმ გვერდის მითითება, რომლიდანაც სტატია იწყება.

ე. მაქვინი, "დავის სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტა: იურისდიქცია და სასამართლოს წესით განხილვის შესაძლებლობა" (1990) 221 საერთაშორისო სამართლის აკადემიის კურსების კრებული (Recueil des Cours de l'Académie de Droit International) 9

5. საერთაშორისო სამართლის ასოციაცია

აღნიშნული წყაროს ციტირება რედაქტირებული წიგნის მსგავსად ხდება, რასაც სახელწოდების შემდეგ ფრჩხილებში ემატება კონფერენციის ჩატარების ადგილი და წელი.

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის კომიტეტი, „შუალედური ანგარიში საჯარო წესრიგის, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების დაბრკოლების შესახებ“ გამოცემაში საერთაშორისო სამართლის ასოციაციის 69-ე კონფერენციის (ლონდონი 2000) ანგარიში (საერთაშორისო სამართლის ასოციაცია, ლონდონი 2000) 340 (შუალედური ანგარიში) 345

კულტურული მემკვიდრეობის სამართლის კომიტეტი, "მემკვიდრეობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება - პირველი ანგარიში" საერთაშორისო სამართლის ასოციაციის 67-ე კონფერენციის (ჰელსინკი 1996) ანგარიში (საერთაშორისო სამართლის ასოციაცია, ლონდონი 1996) 15, 31

6. საერთაშორისო სამართლის კრებული

ვაიტმენის ან ჰაკმანის მიერ რედაქტირებული კრებულები ავტორის სახელს სათაურშივე უთითებენ. ძირითადი თემა ჩასვით ბრჭყალებში, რომელსაც მოყვება წელი (თუ მითითებულია) ან ტომის ნომერი. ნიშანი „§“ მიუთითებს იმ სექციაზე, რომლის ციტირებაც ხდება, რასაც ასევე მოსდევს გვერდის ნომერი.

1981 წლიდან საერთაშორისო სამართალში ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის კრებული (Digest of US Practice in International Law) გახდა საერთაშორისო სამართალში ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის კუმულატიური კრებული (Cumulative Digest of US Practice in International Law). წლის მითითების შემდეგ აუცილებლად უნდა მიეთითოს ტომის ნომერი რომალური ციფრებით.

„ავიაცია“ 9 ვაიტმენის საერთაშორისო სამართლის კრებული §4, 323

„საერთაშორისო სამართლის სუბიექტები“ (1979) ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის კრებული §2, 110

„კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება“ (1981-88) III საერთაშორისო სამართალში ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკის კუმულატიური კრებული §2, 3190